



«სხვა საქართველო ამ არის!..»

ოთარ ზურაბიშვილი: „ზვიადმა იცოდა, რომ ცონხალი ვერ გაეოვიდოდა იქიდან, მაგრამ თავს არ მოიკლაგდა!“

საფრანგეთში ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს ისევ ზურაბიშვილი უხელმძღვანელებს

ისტორიული პარალელი

14 ივნისს, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომომ თავმჯდომარის მორიგი არჩევნები ჩაატარა. როგორც „ემიგრანტებს“ სათვისტომოს ერთ-ერთმა ყოფილმა თავმჯდომარემ ოთარ პატარაძემ აცნობა, ოთარ ზურაბიშვილი კვლავ ერთხმად აირჩიეს სათვისტომოს თავმჯდომარედ. იგი დიდი ხანია უძღვება ამ საქმეს საფრანგეთში და გარკვეულ დამარებასაც უწევს ქართველ ემიგრანტებს. თავმჯდომარის გარდა, აირჩიეს საბჭოს წევრებიც: თამუნა დემურია, კოკა ქართველიშვილი, დათო ფავლენიშვილი, გიორგი ფაველაძე, მათა ჩიკვილაძე, მერი ზურაბიშვილი, ოთარ ზურაბიშვილი. გამგეობამ შეაჩვენა დაასახელა ოთარ ზურაბიშვილი თავმჯდომარის თანამდებობაზე და ვინაიდან, ამჯერად იგი უალტერნატივო იყო და კონკურენტი არ ჰყოლია, ეს ვალდებულებაც შეინარჩუნა. აღსანიშნავია ისიც, რომ 90-იან წლებში, როცა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას, საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა, ოთარ ზურაბიშვილი ევროპაში საქართველოს წარმომადგენელი იყო. მასთან ინტერვიუს ერთი ნაწილი ჩვენს ერთ-ერთ ჩანართში (1 ივნისს) დაიბეჭდა. ახლა მის მეორე ნაწილს ვთავაზობთ, რომელშიც ზვიად გამსახურდიას შესახებ ვსაუბრობთ.

ბატონო ოთარ, ეს კითხვა არაერთხელ გამიჩნდა და ახლა, როცა თქვენთან საუბრის საშუალება მომეცა, არ შემიძლია არ გკითხოთ. საფრანგეთში მანქანა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სამშობლოა. ზვიად გამსახურდიას აქ ბევრი მხარდამჭერიც ჰყავდა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მან ემიგრაციისათვის ჩვენზე აირჩია და არა საფრანგეთი?

პირველი რიგში მინდა გითხრათ, რომ საქართველოში დისიდენტური მოძრაობის გააქტიურებისთანავე, ჩვენ ემიგრანტთა შვილები, რომლებიც მამინ საკმაოდ ახალგაზრდები ვიყავით, მამინვე გვერდით დავუდევქით მას. ამიტომაც მე ამომარჩია, არ ვიცი რატომ, და უცხოეთში ორი წარმომადგენელი ჰყავდა საქართველოს, ერთი საფრანგეთში და ერთი ინგლისში. ჩვენით რომ აირჩია ემიგრაციისთვის, ალბათ ორი მიზეზია: საფრანგეთში ჩამოსვლა პოლიტიკურად რთული იყო მაშინ. ჩვენ ვცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა.

მაგრამ მისი სახელით ბევრმა მიიღო თავშესაფარი ევროპაში და მას სურვილი ჰქონდა?

მე ვიცი, რომ საფრანგეთზე ფიქრობდა. მაგრამ მეორე მიზეზი იყო ის, რომ მას სულ უნდოდა საქართველოსთან ახლოს ყოფილიყო. რაც მე მქონდა ცნობები ბოლო მომენტებშიც, მას ყოველთვის ეს

აზრი ჰქონდა, რომ დაბრუნებულიყო საქართველოში. სხვებიც ამას ამბობენ და ეჭვი არავის ეპარება. **ბოლო დროს კიდევ უფრო აქტიური გახდა მისი სახელი და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაანალიზება. მით უმეტეს, როგორც იქნა, მოხერხდა მისი ნეშტის საქართველოში დაკრძალვა. დარწმუნებული ვარ, ამას ჩვენი ემიგრაციაც მიესალმებოდა, მაგრამ დამეთანხმებით, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო მისი მოულოდნელი, თუ უცნაური გარდაცვალებისა და შემდეგ დაკრძალვის მიმართ. თქვენ მაინც რომელ ვერსიას უფრო იზიარებთ სიკვდილის მიზეზად?**

ამის თქმა ჩემთვის ძნელია. მე არ ვიცი, კონკრეტულად როგორ მოხდა და რა მოხდა. მაგრამ ერთ რამეს ვფიქრობ და ამაში დარწმუნებული ვარ, ზვიადი ნამდვილად ქრისტიანი იყო და ვფიქრობ, რომ თავს არ მოიკლაგდა.

ბოლო პერიოდში ალბათ მასთან კონტაქტიც ვერ გექნებოდა, როცა ფაქტობრივად ტყეში იყო. ამდენად, არ გეცოდინებოდა, როგორ იყო მისი სულიერი მდგომარეობა.

არა, კონტაქტი მართლაც არ მქონდა. ჩემთვის ეს მთლიანად უცნობია. შეიძლება გეფიქრა, რომ ბოლომდე წავიდა ამ გზაზე და ფიქრობდა, რომ ეს საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა. მაგრამ მე არ მჯერა, რომ ის უიმედობის გამო თავს მოიკლაგდა. მე მასსოვს, როცა ბოლოს ვიყავი მის ბიუროში, რაღაცა უცნაურს ვგრძობდი და დარწმუნებული ვარ, რომ მან იცოდა, რა ზე მდიოდა. მაგრამ განწირული ჰქონდა თავი. კიდევ უფრო შორს მივდივარ და მგონია, რომ მან იცოდა, იქედან ცოცხალი ვერ გამოვიდოდა. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ასე არ დაამთავრებდა სიცოცხლეს.

კიდევ ერთ მტკივნეულ თემას მინდა შევეხო წარსულიდან. საფრანგეთში ჩამოსული ქართველი ემიგრანტები სხვადასხვა მრწამსის პოლიტიკოსები იყვნენ. დღემდე მათი კოახებიც აქტუალურებ. დღეს თუ იგრძნობა მშობლების მსგავსი აზრთა სხვადასხვაობა სცილდალ-დემოკრატებისა და ეროვნულ დემოკრატების შთამომავალთა შორის?

იგივეა დღეს. ისევე როგორც საქართველოში, აქაც სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებია. როგორც ყველა ქვეყანაში არის და უნდა იყოს, ზოგი პრეზიდენტის მომხრეა და ზოგი ოპოზიციის. ძირითადი დაპირისპირება მაინც არის იმის შესახებ, ვინ არის საქართველოსთვის მანე, ვინ რუსეთის მომხრე და ვინ წინააღმდეგი. ყოველთვის ამაზე იყო დავა, ვინ დალატობს საქართველოს და აკეთებს რუსეთის საქმეს, ან მიჰყავს პოლი-

ტიკა რუსეთის სასარგებლოდ და საქართველოს საზიანოდ. ზვიადის დროსაც იყო დავა, რომ თქვენ ეს-მარებით საქართველოს მტრებს. დღევანდელ დღეს არ არის თათბირი იმაზე, ვინ არის პოლიტიკურად მართალი, ვინ არა; კარგად არის წაყვანილი საშინაო პოლიტიკა, თუ არა. მაგრამ მთავარია გავაკეთოთ ანალიზი, რა არის ძირითადად, საქართველოს რისკი. თუ ფიქრობთ, რომ მთავარია შადრევნებზე ლოკალური მსჯელობა, ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ ეს იგივე არ არის, შვეა საქართველო ნატოში, თუ არა. რა რისკია მოსალოდნელი რუსეთის მიერ განხორციელებული პოლიტიკიდან საქართველოს მიმართ, როგორ უნდა მოგვარდეს აფხაზეთის და შიდა ქართლის პრობლემები - ეს არის საქართველოს მთავარი პრობლემები და დანარჩენი კი არა.

და ასევე სტრატეგიული ობიექტები რუსეთს დარჩება თუ საქართველო ალბათ?

ესეც. სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის, არ არის დაწერილი ღია და ყველაზე არ იცის, რა არის მალული სტრატეგიული ინტერესები. არ იცის ხალხმა.

მე მესმის, რომ ისტორიულ ემიგრაციას ყოველთვის ჰქონდა უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთისადმი. მაგრამ, ამ შემთხვევაში, როგორია ამერიკული პოლიტიკისადმი დამოკიდებულება? არის თუ არა განსხვავება, საქართველოს ამერიკა და ეპატრონება თუ რუსეთი?

დაპრობაზე თუა ლაპარაკი, ერთია კონკრეტული, ფაქტობრივი დაპრობა და მეორეა ფიქტიური. თუ დროებით დაეხმარება საქართველოს, რომ გააძლიეროს და მერე გამოვთვალოს, ეს პოზიტიურია. მაგრამ ჩვენთვის სულერთია, ვინ დაეპატრონება და დაიპყრობს საქართველოს, ამერიკა, რუსეთი, თუ თურქეთი.

მაგრამ ერთი არის თეორია და მეორე-რეალური მდგომარეობა. ზოგადად, ერთი არის პოზიტიური საქართველოსთვის და უფრო ადვილად დგება საქართველო ფეხზე. მაგრამ იგი ვერ გახდება ამერიკის მონა. ეს გამორიცხებულია. ეს არც ქართულ ფსიქოლოგიაში არ ზის. **არ შემიძლია კიდევ ერთ საკითხს არ შევეხო. თავი დავანებოთ იმას, რომ თქვენ ივანე ზურაბიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი ხართ, თქვენ ხართ სალომე ზურაბიშვილის ძმა. თუმცა განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ. რას ნიშნავდა თქვენთვის მისი დანიშნვა მინისტრად და მერე მისი გათავისუფლება. რა როლი შეასრულა მან ქართულ პოლიტიკაში, ან, თქვენს აზრით, რა პოლიტიკა გაატარა საქართველოს პრეზიდენტმა მისი დანიშნვით და მერე მისი გადაყენებით?**



ამაში საშინაო პოლიტიკას უნდა შევეხოთ და ჩემთვის ძნელია, რადგან ყველაფერი ნათელი არ არის. ის, რატომ წავიდა სალომე საქართველოში და გახდა მინისტრი, ადვილი გასაგებია. ძალიან კარგი ტექნიკოსია და კარგად იცის ეს საქმეები. ალბათ, ძალიან კარგად გაუწია დახმარება საქართველოს. რაც შესასრულებელი ჰქონდა შეასრულა. მაგრამ მეორეა, სხვა პოლიტიკური და შინაგანი მომენტი. ვფიქრობ, რაც უნდა კარგად იყო გარკვეული საქართველოს პოლიტიკაში, მაინც ძნელია უცხოეთიდან ჩამოსული მოერგო იქაურ პოლიტიკას და მერე გქონდეს საკმარისი ქსელი, ყველაფერს მიხედვით და გაიგო ყველაფერი. როგორც იცით, ეს ისე ადვილი არ არის. საფრანგეთშიც ასეა. მაგრამ უარესადაა საქართველოში. საბჭოურმა პერიოდმა კიდევ დატოვა კვალი და მგონია, მთლიანად აღმოფხვრილი არ არის. ძნელი საკითხია. მაგრამ მის გადადგომაში ალბათ ასეთი რომ გითხრათ, სალომე არასდროს არ იყო პოლიტიკოსი. თუმცა, მისი სპეციალობის ძალიან კარგი მცოდნეა. მაგრამ ერთია, რომ სარ ტექნიკური მინისტრი და კარგად ასრულებს საქმეს (და სალომემ მართლაც კარგად იცის ეს საქმე).

მაგრამ მეორეა იყო პოლიტიკოსი. მე ეს სალომესაც ვუთხარი, სხვა მიდგომაა საჭირო, რომ იყო პოლიტიკოსი შენს ქვეყანაში. სხვანაირად უნდა მიუდგე ხალხსაც და იცოდე, რა სდება შენს ქვეყანაში.

ნიკო მსოიკა

თბილისი-პარიზი-თბილისი

ეს ინტერვიუ გასულ წელს პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში შეხვედრისას ჩავეწერე. მას შემდეგ ბატონი ოთარის გამოსვლებიდან აშკარა გახდა, რომ მისი პოზიცია საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი გარკვეულწილად შეიცვალა. სხვებმა ეს ცვლილება ოპოზიციის არასაიმედოობითა და არასწორი ორი თვის წინ ტროცკადეროს მოედანზე, რუსეთის ხელისუფლების ბოლოდროინელი ქმედებების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციაზე შევხვედი. მაგრამ ამ თემებზე საუბარი ვერ მოვახერხეთ. მეორე დღეს ისევ ქართულ ეკლესიაში უნდა შეხვედროდი, მაგრამ იქ არ მოსულა. მერე მეც წამოვედი და ეს შეხვედრაც გადაიდო. მაინტერესებდა მისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი რატომ შეიცვალა 7 ნოემბრის შემდეგ. ალბათ მომავალ შეხვედრაზე გავიგებ.

მართული დიასპორები უცხოეთში

ერთი თვის წინ, როცა ამ ჩანართის ბეჭდვა დაიწყო, აღვნიშნე, რომ ევროპაში მიგრაციის საკითხი რამდენიმე ქვეყანაში ვიშრომებოდი. უმეტესი დრო საფრანგეთსა და ჰოლანდიაში ვაგადატარებ და მნიშვნელოვან მოვლენებზე დასწრების ბედნიერებაც მქონდა. მაშინ რამდენჯერმე ვახსენე ჰოლანდიაში ქართული დიასპორის ხელმძღვანელი მარეტ ტოგონიძე ვახსენე, რომლის დამსახურებაცაა, რომ ჰოლანდიაში რამდენჯერმე ვსტუმრობდი, ბელგიაშიც ვახლდით და იქაური პატარა საქართველოს გაცნობით აღვივიქო, როგორ ქინას მშობლიურ სამყაროს უცხოებაში გადარჩეული ქართველები. სწორედ მან გამაცნო ანტერვრპენის ქართული კულტურის ცენტრიც და ქართული ეკლესიის ცხოვრებაც. ახლა სწორედ მარეტ ტოგონიძეს ვაგადატარებ და მასთან ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ. იგი უკვე 14 წელია ჰოლანდიაში ცხოვრობს და 1999 წლიდან ერთ-ერთი ცნობილი ბანკის კრედიტების რისკის მენეჯერია. მისი ქალიშვილი ეკა კი დიზაინერის პროფესიას ჰოლანდიაში ეუფლება. ხოლო სტაჟირებას თბილისში გადის.

ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მარეტ ტოგონიძემ სწავლა ჰოლანდიაში, ტილბურგის უნივერსიტეტში განაგრძო. შემდეგ ერთ-ერთ წარმატებულ ბანკში ფინანსისტად განაგრძო თავისი პროფესიული მოღვაწეობა. სამშობლოს სიყვარული და ოცნება ძლიერ საქართველოზე არის მისი აქტიური ცხოვრების ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ჰოლანდიაში ქართული დიასპორის ჩამოყალიბებაც, სწორედ ამ ძალის ერთერთი გამოვლინებაა. ასე უთქვამთ ქართველი სადაც უნდა წავიდეს, იქ მიიქცა თავისი წილი საქართველოში, და მერე, იმ საქართველოში იწყებს ცხოვრებას. ესეც ნათლად აისახა მის ემიგრანტულ ყოფა-ცხოვრებაში. მის მოღვაწეობას არც საქართველოში ჩაუვლია უკვალოდ, იგი, ხომ საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ახლა მარეტ ტოგონიძემ საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობას პოლიტიკური მოღვაწეობის უფლებაც მისცა, რაც აშკარად გამოჩნდა მის მიერ ევროპაში ჩატარებული საპროტესტო მიტინგებში. ჰოლანდიის ერთ ერთ მთავარ ქალაქში, დენ ჰააგში, პარლამენტის წინ და ბრიუსელის ცენტრში, ევროსამბლესა და ევროპარლამენტის წინ გაიმართული მიტინგებისას, ჰოლანდიურ ენაზე გაკეთებული განცხადებით, მან თავისი ოჯახის წევრებიც კი გააოცა. იგი ენერგიულად და შემართებით გამოხატა რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისადმი და ევროპაში გამოფხიზლების კენს, საქართველოსადმი დახმარებისა და ობიექტურობის კენს მოუწოდებდა. ამდენად, მარეტის წინამძღოლი განხილვა და მარეტის ჰოლანდიაში ქართველების გარკვეული ნაწილისათვის, არამედ ბელგიის ქართული სათვისტომოსთვისაც, სწორედ მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, შეიძინეს ქართველმა ემიგრანტებმა ქართული მონასტერი საპატივით, რომელიც ჰოლანდია-ბელგია-გერმანიის საზღვართან, კურორტულ ზონაში მდებარეობს. ამაზე სხვა დროს, ახლა კი დიასპორის საქმიანობის შესახებ ვისაუბრებთ ჰოლანდიასა და საქართველოში და იქ ჩასულ ემიგრანტთა ყოფას შევხებით.

ჰოლანდიაში ჩემი პირველი სტუმრობისას, თქვენ ქართულ-ჰოლანდიური საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყავით. რამ განაპირობა დიასპორის შექმნა?

საზოგადოებას საქართველო-ქართული დიასპორა 2005 წლის მაისში დაარსდა. 28 ივნისიდან იგი ნოტარიალურად დამტკიცდა, როგორც ოფიციალური ორგანიზაცია. მისი საშუალებით ვცდილობთ ქართველთა და ახლავებთ, გაერთიანებას და იმ მიდგომის გამოხატვას, რომელიც დაქმნა რება მათ სრულფასოვანად ჩაერთონ საზოგადოებრივ აქტივობაში, ეროვნული კულტურული ინტენტივობის შენარჩუნებაში. პერიოდულად (2 თვეში ერთხელ) შეხვედრების ბაზაზე, ვცდილობთ მაქსიმალურად მოვიზიდოთ ქართული და ჰოლანდიური საზოგადოებების ყურადღება, გავუზიაროთ ერთმანეთს პროფესიული თუ პიროვნული გამოცდილება, მოვახ-

ქართველი სადაც უნდა ნაპოვდეს, იმ პირობებს თავისი წილი საქართველო... მშობელ მიწაში მიდგას ფესვები



დინთო ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ამით მცირედი წვლილი შევიტანოთ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებაში. —მე არაერთი საინტერესო თაყვრილობის მოწმე ვყოფილვარ ამ სტერეოტიპში, სადაც დიასპორის შექმნა, თუ სახალწლო ზეიმი გამართულა. ვიცი, რამდენად დიდი ინტერესი ქართველი შოუ ბიზნესის წარმომადგენელთა სტუმრობისა, თუ მხატვრული ღონისძიებების გამართვისა. მაგრამ ისიც ვიცი, რა დიდი საზოგადოებრივ-დებათ ამის გაკეთება. თუმცა, შეიძლება ვინმემ ეს არ დაიჯეროს და იფიქროს, რომ ამგვარი შეხვედრები საქართველოში ინტერესების თვის სდება. ხომ არ მიგომართავთ სასწლმოწიფო სტრუქტურებისათვის, გარკვეული დახმარება გავწიონ ამ საქმეში? მით უმეტეს, ეს სასწლმოწიფო მინისტრის გვეგებში შედის.

—თქვენ მანც კარგად იცნობთ ჩვენს საქმიანობას და შემოსავლებს და იცით, როგორ კეთდება ყველაფერი. რა თქმა უნდა, დიასპორა არ არის მიდირი. ემიგრანტები ძირითადად ცდილობენ, შინ დარჩენილი ოჯახების გამოსაკეზად იზომონ. მაგრამ ქართული ხელოვნების მოღვაწეთა ჩამოსვლის, მათთან მშობლიური სიტყვის მოსმენის და საკუთარ კულტურასთან ზიარების სურვილი დიდია. ჩვენ კი ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი სახსრები მივმართოთ სოციალურ პროგრამებზე. ამიტომ თუ ხელისუფლების მხრიდან თუნდაც ნაწილობრივი დახმარება იქნება საქართველოს დელეგაციის ჩამოსასვლელად, ჩვენ დარბაზის დაქირავების, მასპინძლის მოწვევის და სხვა საორგანიზაციო საკითხებზე პასუხისმგებლობას ავიღებთ. სახელმწიფო სტრუქტურებიდან ჯერ დახმარება არ მიგვიღია. თუმცა, სასწლმოწიფო მინისტრმა იულონ გაგომიძემ ჰოლანდიაში სტუმრობისას განაცხადა, რომ უნდა შექმნას ფონდი ემიგრაციის დასახმარებლად. ახლა მივიღეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს საქართველოს ხელისუფლება გვეხმარება მონასტრის აშენებაში და ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარებაში. მინდა აღვნიშნო, რომ ქართული წირვა-ლოცვა ანტერვრპენში უკვე რამდენიმე წელია ტარდება და ამ საქმეში დიდი ჩვენი მოძღვრის, მამა აბიბოსის დამსახურება, რომელიც მრევლს ვეზრდით ამოუღდა და სწორედ მისი თანადგომის გამოხატულება იყო ამ ტერიტორიის შექმნა საპატივით, რომელიც სხვათაშორის, თამარის, ყოველთვიურად ფულს იხდიან ემიგრანტი ქართველები.

—თქვენ სოციალური პროგრამები ასწავლეთ და მე როგორ ვიცი, არაერთ ბავშვსა და ახალს. მათ შორის, ძველის, ბედნიანის და გურჯაანის უნარშეზღუდულ, ინვალიდ და მიუსაფარ ბავშვთა ორგანიზაციის დაქმნა (ამ უნანსკელის, ანუ არასამთავრობო ორგანიზაცია, „მეოხი XXI“— ერთ-ერთი დამფუძ-

ნებელი მეც გასლავართ, ამიტომ მინდა აქვე გითხრათ მადლობა, ამ ბავშვების გასარებისათვის).

—ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რისი სურვილიც გვაქვს, მაგრამ ისეც და ისეც სახსრების სიმცირის გამო ვერ ვახერხებთ მეტს. თუმცა, რაც გაკეთდა, ამ ბავშვებისთვის ალბათ უმნიშვნელო არ არის. ამაზე საუბარი ცოტა მეუხერხულეა... მარშანწინ საჩუქრებით დატვირთული კონტინერი საქართველო საპატრიარქოს გადავაციტ. სხვადასხვა ეპარქიაში მიიღო ჩვენი ძვენი, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია. სწორად აღნიშნეთ, ჩვენ შარშან და წელს შეძლებისდაგვარად დავეხმარეთ ლიკე-მითი და სიმსივნით დაავადებულ ბავშვებსაც; ძველის, ბედნიანის, უსტაფონის ბავშვთა სახლებს და გურჯაანის ინვალიდ ბავშვთა ორგანიზაციას. ინვალიდთა ასოციაციაც არ დავტოვეთ უყურადღებოდ. ჩვენ მიერ პერიოდულად გაწეული ჰუმანიტარული დახმარება უკვე სტრუქტურულ დახმარებას, შესაბამისად მიმდებარე ორგანიზაციების ნუსხაც ფართოდება. ახლო მომავალში ვაპირებთ ძველისა და ბედნიანს ბავშვთა კვების საკითხების პრობლემების დასაქვას პერიოდულად ფულად დახმარების საფუძველზე. ძალიან გვახარებს ის რომ, ჩვენი საქმიანობით საზოგადოება გვეცხება, მცირედით მაინც შევეუწყობეთ მდგომარეობა იმ სოციალურ დაგუფებას, რომელიც დღეისათვის ყურადღებას, თანადგომას და დახმარებას ითხოვს. გასლოთ ალბათ, რამდენჯერმე კომპიუტერებით მოვაძარაგეთ უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტიც; ყველაფერი ამაში აქტიურადაა ჩართული საქართველოში ჩვენი წარმომადგენლობაც, ასოციაცია „პირდაპირი დახმარება საქართველო-ინტერნაციონალი, რომლის თავმჯდომარეც ქალბატონი ნინო დარსაყვილია გასლავით. მას საქართველოში მონიტორინგის განხორციელება და იმ კონტრენტის შესახებ ზუსტი მონაცემების შესწავლა ევალება, რომელიც სხვადასხვა სახის დახმარებას საჭიროებს. გარდა ჰუმანიტარული დახმარებისა, დაგეგმილი გვაქვს ასევე სასწავლო შეხვედრებით პროექტების განხორციელება; ორგანიზაცია საკმაოდ აქტიურად გვეხმარება ჰოლანდიური გამოგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთის განაწილებაშიც და სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. ასევე კმაყოფილი ვართ იმ ადვინში ქართულ-ჰოლანდიური კომპანიის „ესტარ-ლოჯისტიკ“—ისა და „ანელიკს-ლოჯისტიკ“—ის დახმარება, რაც ჰუმანიტარული ტვირთის ჩამოტანის უზრუნველყოფაში გავვიწიეს არაერთხელ. ძალიან გავვიხარებო, თუ ჩვენს ორგანიზაციას საქართველოში დაუკავშირდება ჩვენი ქართველობა და მიწვიან კონკრეტულ საკითხებს, რაშიც ესაჭიროებათ ჩვენი დახმარება.

ვერ ვავალდებულებთ მათ, ფინანსურად დავეხმარებინ. ვინც ვართ აქტიურები დიასპორაში, ჩვენი შესაძლებლობებით და ჰოლანდიელი მეგობრების დახმარებით ვცდილობთ, განცვახორციელოთ ეს ღონისძიებები. თორემ მარტო ქართველების ხარჯზე ამის გაკეთება ძნელია. ამიტომ გვიანდა დიასპორის ფონდზე შევექმნათ, რათა ახალ-ჩამოსულ ემიგრანტებს დავეხმაროთ. მოგახსენებთ, ემიგრაციის ბევრი პრობლემა აქვს: ვერ დამკვიდრების, ცხოვრების მოწყობის და მეღანქოლის, რადგან ბევრს ძნელად გადააქვს სამშობლოს მონატრებით გამოწვეული ნოსტალგია. თანაც ჩვენს ხალხს ძალიან დამახასიათებელი სიამაყე გააჩნიათ. არავის აგრძობინებენ, რომ უჭირთ. მაგრამ ჩვენ ვხედავთ ამ ტენდენციას, რომ ისინი მანამ არ ჩნდებიან ქართველებში, სანამ ცოტა არ მომძლავრდებიან. დიასპორის მიზანი კი გაერთიანება და თუნდაც სულელი გადლიერება. ჩვენ ვართ პირველი ტალღა ემიგრანტებისა, რომლებიც დაეფუძნდით ევროპაში. ეს არის დიდი მისია, სწორედ ჩვენ უნდა შევიწარმოოთ ჩვენი ეროვნული და გადავაციტ მომავალ თაობას. თორემ დიდი საშიშროებაა, რომ ჩვენ დავეკრავთ იმ იდენტურობას და ევროპული ინტერეგაციის მსხვერპლი გავხდებით.

რამდენად ჩემთვის ცნობილია, თქვენი დიასპორა არამარტო საქართველოში გზავნის დახმარებას, არამარტო მზრუნველობას მოკლებული, თუ უნარშეზღუდული პატარებისთვის, არამედ საკმაოდ უცნაური აქტივაცი გქონდათ, რისი მომხრეც შექმნეხართ გავსტი ჰოლანდიაში. თქვენ ქართული წიგნები მიიტანეთ ჰოლანდიის ცინის ბიბლიოთეკაში. ახლა მინდა გკითხოთ, ამდენი ქართველი ტუსალია ჰოლანდიაში, თუ სხვა პატრიარქისთვის იყო იგი განკუთვნილი?

—(ივინის) კარგი შეკითხვაა. მაშინ ისე ვჩქარობდით, ვერ აგისწენით. ბევრი მეკითხება ამას. დღემთა დაიფაროს იმ ცინეთი ამდენი ქართველი პატიმარი იყო. კარგი იქნებოდა, რომ სხვა პატიმრებისთვის დასჭირებოდათ ეს ამანათები. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ქართველებიც ხვდებიან იქ გაუგებრობის გამოც: ამიტომ ცინის ბიბლიოთეკის იდეა იყო და ჩვენც გამოვეხმარეთ. ჩვენი ორგანიზაციის დახმარებით, საქართველოში შევიძინეთ 100 ქართული წიგნი, სხვადასხვა ავტორისა და უნარის და გადავაციტ ცინეს, რათა იქ მოხვედრომა ქართველმა თავი მარტო არ იგრძნოს და მიხედვს, რომ იგი ასსოვს საქართველოს.

—ამბობენ, რომ ჰოლანდიაში ნაკლებად აღიარებულია კრიმინალი ქართველების გამოვლენის ფაქტი. ხოლო სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, თუ არ დააშავე და შავ სიაში არ მოხვდი, არალეგალიზაციისთვის არ გამოგადეპორტებენ. ისე, ამსტერდამში პოლიციელებ-

ბი თითქმის არ შეგვხვედრია. რითი აიხსნება ეს ყველაფერი?

—მართალია, აქ თითქმის არ გვექონია შეხვედრა, რომ დიასპორისთვის კრიმინალი ქართველების გამო მონატრებით სამართალდამცავებს. ეს ალბათ იმის გამოც ხდება, რომ პოლიცია ასე შესამჩნევი შეიძლება არ არის, როგორც თქვენ აღნიშნეთ. მაგრამ საკმარისია რამე დააშავეთ, რომ ეს უჩინარი პოლიცია მაშინვე გამოჩნდება და დახმარებას სულბორკილებით სამართალდამცავ ორგანიზაციას ჩააბარებს. თუმცა, ჰოლანდიაში სულ რამდენიმე შეხვედრა იყო, როცა ჩვენ ადვოკატის დაქირავება დაგვჭირდა ჩვენი თანამემამულეებისათვის. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ისინი უკანონოდ იყვნენ დაკავებული და სადეპორტოში გადაყვანილი, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლეც კი შეეწირა.

ამსტერდამის აეროპორტში გაჩენილ სანძარს გულისხმობთ, რა თქმა უნდა.

—დას. გასლოთ ალბათ, იქ სამი ქართველი იყო ჩაკეტილი და სანძირისას ერთი დაიღუპა. ჩვენ ვიბრძოლეთ სამართლებრივად და შედეგაც მივაღწიეთ, თუმცა დაღუპულს ვერ ვუშველიდით, მაგრამ კომპენსაციის გარდა, იუსტიციის მაღალჩინოსანსაც დავატოვებინეთ თანამდებობა.

ისევე სულიერების საკითხს მინდა დაგვხრუნდეთ. რამდენიმე წლის წინ ჰოლანდიელი ქართველები ქალაქ ითიშოვნიში დადიონდენ და მასსოვს ის საოცარი ემოცია, რაც მამინ „მამაო ჩვენი“ ქართულად წაკითხვამ გამოიწვია ჩვენში. ჩემთვის ეს მოულოდნელი და გასაკუთრებით აღმფრთვანებული ფაქტი იყო. მას შემდეგ ბელგიაში გადაინაცვალეთ და ანტერვრპენის წმ. ნინოს ეკლესიაში, მამა აბიბოსის მრევლი გახდით. აქაც მხვდა ბედნიერება, აღდგომის ბრწყინვალე დასასწაულს დაეწვებოდით.

—ენით-პოვენი ბიზანტიურ-მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაველიდით, სანამ ახლო-ახლო ქართული ეკლესია არ გვექონდა. ბელგიელი მოძღვარი გვაავადა, როგორც გასლოთ. გასულ წელს მოვეცა საშუალება, ქართული წირვა-ლოცვა აღვეხლოთ იორტერდამსა და ჰერტოგენბოსში მამა აბიბოსის მიერ. ეს ჩვენთვის, ქართველთათვის ენით აუწერელი განცდა იყო. მაშინ მივხვდით, რას ნიშნავდა ჩვენთვის მშობლიურ ენაზე ლოცვის მოსმენა და წაკითხვა. თითქოს ყველაფერი მშობლიურ ენაზე ანტერვრპენში და ჩვენი სულიერებაც განმტკიცდა. ჩვენ, შეიძლება ითქვას, დაწყებულ ქრისტიანები ვართ და ბევრი საეკლესიო კანონი არ ვიცით, მაგრამ ამ ყველაფრით ჩვენ უფრო და უფრო დაეუახლოვით ჩვენს ფესვებს და მივხვდით, რამდენად გვჭირდება ეს ჩვენი ეროვნულობის, ჩვენი ტრადიციების შესანარჩუნებლად. ასე დაიწყო ჩვენი ეკლესიური ცხოვრება. ძალიან ბედნიერები ვართ, რომ დღემთა მამა აბიბოსი გამოგვიგზავნა და საშუალება გვაქვს, ქართულ წირვა-ლოცვას დავესწროთ. ზოგიერთ ოჯახში ბავშვები ქართულად ვეღარ საუბრობენ, მშობლებს ზოგჯერ ისიც კი ახარებთ, რომ შეიძლება ქართულზე უკეთ უცხო ენებს ფლობენ და უცხო ქვეყნის ტრადიციებს იცნობენ. ეს ერთგვარად გარდუვალიცაა, რადგან ბავშვები ჰოლანდიურ სკოლებში იზრდებიან, თანატოლებთან ურთიერთობისას ადვილად ითვისებენ უცხოურ ტრადიციებს, მშობლიურის შესახებ კი მხოლოდ სმენიათ. ასიმილაციის პროცესი კი ნებით თუ უნებლიეთ, თავისთავად მიმდინარებს. ეს პრობლემა დღეს ყველა ჩვენგანის სატკივარი და საფიქრალია. ამიტომ განსაკუთრებული სიფხიზლე, ყურადღება და დიდი ძალისხმევა გვმართებს მომავალი თაობის აღზრდის საკითხში. პირველ რიგში კი კარგად უნდა გავიცნობიეროთ, თუ რას სიმდიდრის მემკვიდრეები ვავსება და განვება, ჩვენი ქვეყნის ტრადიციებით და სხვადასხვა ეროვნული ფასეულობების სახით და რას ისტორიით იქნა ჩვენამდე იგი მოტანილი. მისი დაკარგვით კი რა პასუხს გავცემთ მომავალ თაობას. ამაში კი განსაკუთრებულ წვლილს ჩვენნი ეკლესიური ცხოვრება განაპირობებს. ჩვენი ვალაა, მეტად გავძლიერდეთ რწმენაში და საკუთარ ფესვებს არ მოვეწყდეთ.

რატომ გახდა ქართველი შერდიტვის საქართველო „უნსო ქვეყანა“?!

საქართველოს სანატორიუმებს აქაური ციხე ჯობია

მართლმადიდებელი უცხოეთში

ამბავი, რომელსაც ქვემოთ მოგიხსნათ, ყველა თქვენგანისათვის ერთდროულად ნაცნობიცაა და უცნობიც. ქართველი ახალგაზრდები რომ ხშირად ქურდობის გზას ადგებიან ვეროპის (და არა მარტო) ქვეყნებში, ეს ყველასათვის ცნობილია. თუმცა, ალბათ საინტერესო იქნება გაგიმხილოთ, რა გვიამბო თბილისელმა ქურდმა პარიზში, რომელმაც იმდენად კარგად მოიკიდა ფეხი ვეროპაში, რომ ხუმრობს კიდევ: ჩემთვის საქართველო უცხოეთი გახდაო, გიორგი თბილისის გარეუბანში დაიბადა, სკოლაც იქვე დაამთავრა, კოლეჯიც და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სამსახური ვერ იშოვა. ადრინადა დაოჯახებულს მალე შეიღობა შეეძინა, რომლის ზრდის შესაბამისად იზრდებოდა მამამისის ვალების რაოდენობა.

გიორგის კლასელი და მეგობარი, არმენი, რომელიც პარიზში ცხოვრობდა და ოჯახსაც მშვენივრად არჩენდა, გიორგის ვეროპაში წასვლას ურჩევდა და ამისათვის იოლ გზებსაც ასწავლიდა.

ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ გიორგიმაც გადაწყვიტა საფრანგეთში წასვლა. მეგობრის რჩევით იოლად მიაკვლია ერთ-ერთ გავლენიან პარტიას (რომლის სახელსაც შეგებულად არ ვასახელებთ) რომლისგანაც 300 დოლარად ლტოლვილობის საბუთი იყიდა და საკონსულო ფორმალბების გაკეთების შემდეგ პარიზში აღმოჩნდა. მისი ინტერესები არანაირად არ ემთხვეოდა იმ ტურისტთა ინტერესებს, რომლებიც აღფრთოვანებულნი ვიყავით ლტოლვილის მუხეუმიდან გამოსვლისას, ან სულაც ეიფელის კოშკიდან გადმოხედვისას...

საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, გიორგის, როგორც პოლიტიკურ დევნილს, მალევე გამოუყვეს საცხოვრებელი და ყოველთვიურად გარკვეული თანხაც დაუნიშნეს. არმენმა გიორგის ჩასვლისთანავე დააწინაურა პარიზში, „სამაჰო“ ქართველები და 3 დღეში საქმეზეც გაიყოფს.

გიორგიმ „მუშაობა“ წერილობითი ნივთებით დაიწყო. მაგალითად: ტელეფონის ბარათების და სურსათის მოპარვა არც დიდ სირთულეს წარმოადგენდა და თანაც შესანიშნავი საშუალება იყო ნიადგის შესამზადებლად და ეწ, „ბაზრის“ შესასწავლად.

ძირითადად დიდ სავაჭრო ცენტრებში დაიწყო მოპარვა, სადაც დაცვის განსაკუთრებული ზომები კი აქვთ მიღებული, სამაგიეროდ, არჩევანიც დიდია. საუბარში ერთ-ერთი ისეთი პრესტიჟული სავაჭრო ცენტრი დაგვისახელა, რომ ინფორმაციის სანდობაში ეჭვიც კი შეგვეპარა. მაგრამ ჩვენს დასაწყისში დაწინაურებულბით და თანამდევრობით ჩამოვითვალა ყველა ის ნაბიჯი, სახელობითი პალტოთი, ან სულაც ჩანთით ხელდამშვენილებული ქუჩაში როგორ უნდა გამოვსულიყავით. გულდასმით აგვისხნა, როგორ უნდა „გაასუფთაო“ მსხვერპლი, ანუ მოსაპარ ნივთს შტრისკოლი როგორ ახასი, „მყვირალა“ პლომბი მოტეხოს, გამყიდველის ყურადღება მიიქციოს, სანამ მეგობარი „მუშაობს“, და ა. შ.

მიუხედავად ადრევე გამოჩენილი ხელმარჯველობისა, ახლად ჩასული ქართველი არაერთხელ „ჩავარდნილა“. ორჯერ სულოვნობისთვის და ერთხელ მანქანის გატაცებისთვის დაიჭირეს. თუმცა, არც იქ დაიბნა, სასამართლოზე განაცხადა, ქართული არ ვიცი, საქართველოს მოქალაქე კი ვარ, მაგრამ ეროვნებით ქურთი ვარ და ქართულად ვერ ვეჭყველებო. ქურთულის თარჯიმანი არ აღმოჩნდა პარიზის პოლიციაში და... 3 თვის შემდეგ პოლიცია იძულებული გახდა, გიორგი გაეთავისუფლებინა. მან ქართველ თარჯიმანს ქართულად, ფრანგ პოლიციელებს კი

ფრანგულად გადაუხადა მადლობა და ღიმილით დატოვა ციხე.

ციხეში მისი გამოსწორება ვერ შეძლო, მაგრამ თავად გიორგი კი გამოსვლისთანავე შეუდგა ჩავარდნილი დღეების გამოსწორებას... და დასვენებულმა და საქმეს მონატრებულმა იმდენს მიადგინა, რომ 2-კვირიანი ტურისტული ვიზით ცოლ-შვილიც ჩამოიყვანა. „არდადეგებზე“ ჩასულ 2 წლის სანდროს 4 წელი პარიზში შეუსრულდა და უფრო მეტიც, პატარა დაიკოც შეეძინა.

გიორგი თავად გვიამბობს, როგორ მოახერხა რეაბილიტაცია 3-ჯერ პატიმრობის შემდეგ. აქვე მინდა დაეძინო, რომ რესპონდენტის შესაშური ფრანგულით მეტყველებს. თუმცა, რატომღაც არაბული აქცენტით, რითაც, როგორც თვითონ გვითხრა, მის მიმართ ფრანგების „კეთილგანწყობა“ ორმაგდება.

გიორგი, არ გაგიჭირდება სამჯერ ციხეში ჯდომა, თანაც უცხოეთში?

-(იცინის) გამიჭირდა? უპრობლემოდ არავის არაფერი გამოსდის ცხოვრებაში, რატო გამიჭირდებოდა, როცა ვიცი, რომ ცოლ-შვილს აღარ მია და ციხე, ციხე ჩემთვის კურორტია 3-თვიანი დასვენება გამომდის ხოლმე. სამჯერადი კვებით, ცხელი წყლით... საქართველოს სანატორიუმებს აქაური ციხე ჯობია.

ისე ამბობთ, გიორგი, გულიც კი დაგწყდა, რომ გამოვიშვეს?

- არა, რას ამბობთ, ცოლ-შვილს იმდენი მარაგიც არა აქვს, თავს უფლება მივცე და მე ციხეში ფეხი ფეხზე შემოვიდო.

კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით და სამუშაოთი საფრანგეთში?

-ძირითადი გითხრათ, ეს ჩემი პირველი სამუშაოა, პროფესიით იურისტი ვარ. პარადოქსი კია, მაგრამ პირველი სამუშაო ჩემთვის ქურდობაა და ალბათ თუ სამუშაოდ არა, დიდხანს მაინც გაგატყდებოდა.

თანაც ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და ისე შევეჩვიე, რომც არაფერი მჭირდებოდეს, სახლში უქმად ვეღარ ვჩერდები.

(საუბარში გიორგის მეუღლე ეკა ერთვება)

-რა თქმა უნდა, ეყვარება თავისი საქმე, იცით რა დღეში ვიყავით საქართველოში? გიორგი ყოველ კვირაში სისხლს აბარებდა, რომ ბავშვისთვის საჭმელი ეყიდა. მისი სისხელი იმდენად სურს, ქუჩაში გული მიდიოდა ხოლმე. აქ კიდევ აღარაფერი გვაკლია და თანაც ყველაფერი უფასოდ გვაქვს.

არ გეშინიათ, რომ თქვენი ქმარი დაიჭირონ და ციხეში გაგზავნონ, ან დეპორტაცია გაუკეთონ?

- ამას უკვე შეგეჩვიე, რომ დენჯერზე იჯდა კიდევ, მაგრამ ყოველთვის გვაქვს იმდენი მარაგი, რომ ბავშვები შიმშილით არ დაგვეხოცოს და თან გიორგის მეგობრებიც მესმარებოდნენ. ისე მიჩვენია, აქ დაიჭირონ, ვიდრე საქართველოში გადაგზავნონ. აქ ვიცი მაინც, რომ როცა გამოუშვებენ, ისე „იმუშავებს“ და საქართველოში კი...

გიორგი, მუშაობისას რაღაც კონკრეტულ პრობლემებს გეშინია?

- არა, მე ვიპარავ ყველაფერს, რაც მე და ჩემს ოჯახს გვჭირდება. რითი დაწყებული, ფესხაცხლით დამთავრებული. დილით ეკასა და მიწის და სალამოს დატვირთული ვბრუნდები. ჩემი მეგობრები ძირითადად უცხოელები არიან და რასაც იპარავენ, თბილისში აგზავნიან, ან აქვე იდიან რუსებზე, სომხებზე, ან რუმინელებზე. ეგები სანდო ხალხია. ან ქართული ეკლესიის წინ მიდიან კვირაობით და ცდილობენ, ქართველ სტუდენტობასაც მიჰყიდონ რამე. მთავარია, მამამ არ შეგამჩნიოს, რისთვის ხარ მისული და თავი მრევლად,

ან სტუდენტად უნდა მოაჩვენო, თორემ მაშინვე გამოგადგებენ იქედან. თუმცა, პოლიციასთან არასოდეს ჩავუშვივართ. ისე თბილისში, სადაც ევროპული ტანსაცმლის მაღაზიაა და თან ტანსაცმელი ზომებში არა აქვთ, სულ ჩემი მეგობრების, ან მათნაირების გამოგზავნილებია.

-(ეკა) დრო მოვა ჩვენც შევძლებთ ამას, ვერ ბავშვები გვაყავს დასაზრდელი.


გიორგი, ყველაზე ძვირფასი რა მოგიპარავთ?

- გოგონა რომ შეგეძინა, ეკას სვაროსკის ბეჭედი ვარჯეუ. მიხედვით ალბათ, რომ არ მიყიდა... ეს ყველაზე ძვირფასი „ნადავლი“ იყო. სირთულით კი, ერთხელ მეგობარს დავეხმარე და სავაჭრო ცენტრიდან სატელეფონო ანტენა მოვაპარინე. სახლში სჭირდებოდა და მარტო ვერ იპარავდა. ეგ ყველაზე რთული საქმე იყო. ლიონში მოვიპარეთ, პარიზში ცოტა გაგვიჭირდებოდა.

გასაოცარია, მაგრამ გიორგის გოგონა კოლეჯებიც კყავს, რომელთაგან ერთ-ერთი, მაია, მალევე შემოგვიერთდა.

იგი გერმანიაში „მუშაობს“, და 2 თვით პარიზში არდადეგებზეა. თან გერმანიის პოლიციასაც ემალემა. მაია მიუხეხნის „ოპერად“ ჩავიდა. ნოსტალიგიით დათრგუნულმა გოგონამ ისე ვერ იმუშავა, როგორც ამას მისი წესრიგისმოყვარე გერმანელი დიასახლისი მოითხოვდა. ხელფასი დაუკლეს. მაია ჯერ საგონებელში, შემდეგ კი ვალეში ჩავარდა, ენის კურსების თანხა რომ დაეფარა. მალე ოჯახმა სახლიდან გააგდო და მაია უფულოდ და უსახლკაროდ დარჩა. იქნებ „მოპარავმა“ ქართველებმა იგი არა მარტო შეიფარეს, ახალი პროფესიაც შესწავლეს და ვალეების გასტუმრების იმედიც მისცეს.

-(მაია) ჩემი მისვლა ბიჭებსაც ხელს აძლევდათ, ქერა რომ ვარ, ადვილად ვერ ამჩნევენ ჩემს უცხოელობას, თან გოგონე ნაკლებად მიაკვთ ეჭვი და სანამ სათვალთვალო კამერაში ერთ-ერთ ბიჭს უყურებენ, როგორ „ეჩალიჩება“ რაღაცას, ამა-



სობაში მე ბევრი რამე გამაქვს და მერე ყველანი ვიყოთ. ჩვენი ჯგუფი ძირითადად ტანსაცმელზე მუშაობს. სხვათა შორის, ჩვენი კლიენტები ქართული შოუბიზნის ვარსკვლავებიც არიან. თუ „ტავარი“ არ მოეწონათ, თვითონ მიდიან მაღაზიაში, გვანებებენ რა სჭირდებათ და სალამოს 2-ჯერ დაბალ ფასში მიყვითხობო. საქართველოში ვიფუნდებო, ჩვენი მოპარული ტანსაცმლით კი თავს იწონებენ.

დღეს მაია არათუ სწავლის ფულს იხდის უპრობლემოდ, საქართველოში მშობლებსა და 14 წლის ძმასაც არჩენს, რომელთაც ალბათ არასოდეს მოუვია აზრად მაიას ნამდვილი საქმიანობის შესახებ.

აპირებთ თუ არა საქართველოში დაბრუნებას?

-(გიორგი) რას ამბობთ?! იქედან ძლივს გამოვქცეულვარ! იმდენი მოვასერებ, რომ ცოლ-შვილი სიცოცხლეს მიშვებ და ვეფრინე ხელიდან, იქ როგორღა მივაბრუნო?! თან ისე მაქვს ხელი შეჩვეული მოპარვას, იქ რომ დავბრუნდე, მინისტრადაც რომ დამნიშნონ, ვიცი, ხელი მაინც გამექ-

ცევა და ვის მოვპარო? ისევ ქართველს? გგონიათ დამავიწყდა, რა არის დაჭირება? მე სამშობლო სამშობლომე და მაკარგინა. საქართველო ჩემთვის უცხოეთად იქცა.

-(ეკა) უცხოეთად, სადაც დაბრუნება ნამდვილად არ მინდა, მშობლები აღარ მყავს, ქმარ-შვილი აქ მყავს, სხვებივით ვაგზალზე „სემინკას“ არ ვიცი, ყველაფერი უფასოდ მაქვს და პრესტიჟულ უბანშიც ვცხოვრობ (მონმარტრთან ახლოს), ყველაფერი მაქვს, რაზედაც თბილისში ვოცნებობდი და ვიყი ვარ, ისევ ოცნებებს დავებრუნდები?

საოცარია, მაგრამ განსხვავებული მოსაზრება აქვს მაიას: მე კი ვფიქრობ, რომ აუცილებლად დავებრუნდები საქართველოში! დაბრუნდები და შევეცდები, მალე დავივიწყო ის სამშინელი წლები, როდესაც ლტოლვილის იძულებული ვიყავი, ქურდობა დამეწყო. მალე ოჯახსაც გავსვალ და დავივიწყებ საცხოვრებელ დარჩენილ ვალებს და ჩილითს ფულსაც მოვაგროვებ და ჩავალ საქართველოში. ვეროპაში ყველა ოცნება და იმედი გამიცრუვდა, აქ აღარასოდეს დავებრუნდები.

თავითა კარგით

რა არის მონობა და დანებული ქართველების ბედნიერება?!

ემიგრანტის წერილები

საქართველოში რომ ვიყავი, რამდენჯერ მიმთავამს, თუ მოვახერხებ და საქართველოდან გავაღწიე, მეტი არაფერზე ვიდარდებო. თურმე როგორ ვცდებოდა... 17 წლის არც კი ვიყავი, საქართველოდან რომ წამოვედი. აჩემებული მქონდა, გერმანიაში „ოპერად“ უნდა ვიმუშაო-მეთქი. მანამ ოჯახში ცოტაოდენი გამოცდილებაც მქონდა, რადგან პატარა დისშვილი მყავდა. მშობლები გამიძალიანდნენ, ასე პატარა სად უნდა გაემშავა, უჩვენოდ რა გეშველებოდა... მე მაინც ჩემი გავიტყავ, რადგან დამოუკიდებლად ცხოვრება მინდოდა. გერმანიაში ორი წლის მანძილზე ორ ოჯახში მომიწია ცხოვრება. ოჯახები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდნენ. მშობლებიც და ბავშვებიც განსხვავებულნი იყვნენ. ამიტომ თავს ძალას ვატყავ, იმდენი ჯაფა თუ დამადგებოდა, არ მეგონა, მანამ სახლში ჩემი საცვალაც არ გამეჩვენებო. მეგონა, გერმანიაში მარტო ბავშვების გასეირნება მომიწევდა. ბევრს ჰგონია საქართველოში, რომ უცხო ქვეყანაში ცხოვრება უფრო იოლია, ვიდრე საქართველოში. აქ რომ ჩამოდიხარ, მერე ხვდები, რომ ასე სულაც არ არის. თუმცა, ის კი მართალია, რომ საქართველოსაგან

განსხვავებით, აქ დასაქმება უფრო იოლია და ანაზღაურება ბევრად მაღალი. მაგრამ ხარჯიც მეტია და შრომაც მძიმე. საზღვარგარეთ სულ გადასახადების ფორიაქია. ასე თუ ისე, გერმანიაში ცუდად არ მიცხოვრია. მაგრამ საკმარისი ფული ვერ დავაგროვე, ისე წამოვედი საბერძნეთში. არ მინდოდა აქ ჩამოსვლა, რადგან გული კარგს არ მიგრძობდა, მაგრამ დედაჩემმა საშველი არ მომიცა. ჩემს დას უნდა და საბერძნეთში ჩამოსვლა და დედას უნდოდა, დები ერად ვყოფილიყავით. ინტუიციამ მართლაც საფუძვლიანი გამოდგა და აქ ისეთი სიტუაცია დამხვდა, შოკში ჩავვარდი. დასაც ვთხოვდი, აქ არ ჩამოსულიყო. მაგრამ არ დამიჯერა. კარგა ხანს ვიწვალეთ აქ. სამსახური აღდგანს ვერ ვიშოვეთ. ახლობელმა ერთ „გრაფიოში“ მივიყვანა, სადაც უნდა გვეცხოვრა და დავსაქმებლიყავით კიდევ. ერთ ოთახში 5-6 ქალი ცხოვრობდით. ორ-ორად გვეძინა ლოგინში და დასაქმებამდე მორიგეობით ვამზადდებოდა სარეცხი. გრაფიოს მეპატრონეები ქართველები იყვნენ, თავადაც დაქირავებული ჰქონდათ ეს ბინა და ჩვენს ხარჯზე იხდიდნენ ქირას. მათ სადილებსაც ჩვენი შეგროვილი საერთო ფულიდან ვამზადდებოთ. ისინი რომ მორჩებოდნენ სადილობას, ჩვენ მერე ვსდებოდით.

გარეცხვის და ბანაობის უფლება მხოლოდ კვირაში ერთხელ გვქონდა. დასაქმებულებიც ჩვენთან ცხოვრობდნენ, ვინც დღის რეჟიმში მუშაობდა და მთელ კვირას არ რჩებოდა იმ ოჯახში. მივხვდით, ასე დიდხანს ვერ გავძლებდით. მე და ჩემმა დამ გადავწყვიტეთ, ბერძნული კარგად გვესწავლა და სამსახურის შოვნაზეც თავად გვეზრუნა. ორი წლის წამების შემდეგ, მართლაც დავაღწიეთ თავი ამ მონობას და კარგად გვესწავლა და სამსახურის შოვნაზეც თავად გვეზრუნა. ორი წლის წამების შემდეგ, მართლაც დავაღწიეთ თავი ამ მონობას და კარგად გვესწავლა და სამსახურის შოვნაზეც თავად გვეზრუნა. ორი წლის წამების შემდეგ, მართლაც დავაღწიეთ თავი ამ მონობას და კარგად გვესწავლა და სამსახურის შოვნაზეც თავად გვეზრუნა.

ჩემი მომავალი მაფიქრებს. ჩვენი უფასო სასწავლებლები მგონი აღარც არსებობს. კერძოში ჩაბარება კი უფრო იოლია. მაგრამ ფული ხომ მჭირდება. ვცდილობ, მალე შეგვაროვო იმდენი თანხა, რომ დავებრუნდე საქართველოში და განათლებას მივიღო, თორემ ვიღ სხვისი მოსამსახურე ხომ ვერ ვიქნები?!
ნატა, 23 წლის ათენიდან



რელიგია

ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანების ცხოვრება შრომით, ავადმყოფობებითა და ტანჯვით აღივსო. მრავალი მიზეზი არსებობს, რის გამოც ჩვენ მწუხარება გვეძლევა, მაგრამ არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენზე მოწვენილი ტანჯვა, უბედურება და განსაცდელი ადამიანებისგან მომდინარეობს, ყველა ჯვარი უსაზღვროდ მოწყალე და ყოვლად ბრძენი უფლისგან მოდის.

მყოფობის სახით, სწორად შეაჩერებს ხოლმე ცოდვის მოქმედებას: „რომელმან-იგი ივნო ხორციით, დაცხრომილ არს ცოდვისაგან, - წერს პეტრე მოციქული (1 პეტრე, 4,1) განსაცდელი თუ მწუხარება, რომელიც ცოდვების გამო გვეძლევა, არის ხმა უფლისა ცოდვილი ადამიანის ჩასაგონებლად. „სადაც ჭირი არ არის, იქ არც ცხონებაა“, - ამბობდა ღირსი სერაფიმე საროველი, ხოლო ღირსი სიმონ ახალი ღვთისმეტყველი გვასწავლის: „როგორც ჭუჭყიანი ტანსაცმელი შეუძლებელია, გარეცხო წყლის გარეშე, ისე ვნებებით შებღალული სულიერი სამოსელი შეუძლებელია, გაასუფთავო მრავალი ცრემლის ღვრის, საცდურისა და მწუხარების გადატანის გარეშე“.

მრავალ პრისან ჭირნი მართალთანი

ში ყოველი ბოროტება. ერთადერთი მიზეზი ღმერთის მიერ დაშვებული ჭირისა, სწორედ ამ დამლუპველი ცოდვის თავიდან აცილებაა. მწუხარება გვეხმარება, შევიძინოთ სიმდაბლითა და მორჩილებით, არ გავკადნიერდეთ, არ დავკარგოთ უბრალოება და არ დავივიწყოთ ღმერთისა და მოყვასის სიყვარული. ადამი შექმნის შემდეგ პირველ ხანებში უცოდველი იყო და, როგორც წმიდა გულის მქონე, ღმერთს ხედავდა და მასთან საუბრობდა - „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილნენ (მათე 5,8), მაგრამ იგი არ იყო მტკიცე სათნოებებში და ცოდვით დაეცა. ჩვენი მიწიერი ცხოვრება უწყვეტი ჯაჭვია განსაცდლებიდან, იგი არის გამოცდა ჩვენი რწმენისა, ჩვენი სიწმიდისა და სიმართლის, ღმერთისა და მოყვასისადმი ჩვენი სიყვარულისა. უფლისკენ მიმავალი გზა ათასგვარი განსაცდელითა და საცდურით არის სავსე. მათი დათმენის გარეშე ძნელად თუ დაიმკვიდრებს ვინმე ცათა სასუფეველს. ერთი ბერი სხვადასხვა საცდურის წინააღმდეგ ბრძოლაში მტრისმეტად დაუღლურდა. სულიერმა მოძღვარმა უხერხა მას: „თუ სურვილი გაქვს, მე ვილოცებ უფლის წინაშე, რათა მან საცდურისგან გაგათავისუფლოს“ - „არა, მამაო, - უპასუხა ბრძენმა ბერმა, - მხოლოდ იმისათვის ილოცე, რათა უფალმა განმამტკიცოს ამ ბრძოლაში. თუ მე ეს საცდური მომიტყენებს, მაშინ ვერ მივიღებ იმ სულიერი სარგებელს, რასაც ვხედავ ჩემს ბრძოლაში“.

ზავნილ განსაცდელს, ეს იქნება უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენს სულიერ ცხოვრებაში. პავლე მოციქული წერს: „საწუთოი სე მცირე ჭირი ჩუენი გარდამეტებულსა და გარდარეულსა დიდსა დიდებას საუკუნესა შეიქმს ჩვენთვის (11კორ. 4,17) წმიდა და ღმერთშემოსილმა მამებმა იცოდნენ, რომ მოთმენითა და მორჩილებით გადატანილი განსაცდელის გამო მათთვის გვირგვინი იქნებოდა გამზადებული ცათა შინა. ამისნათელი დადასტურებაა პატერიკი. ერთი ბერი ყოველდღე მიდიოდა მაღალი სულიერებით გამორჩეულ ბერის კელიასთან და მას სიცოცხლისათვის აუცილებელი საკვების მარაგს ჰპარავდა. ბერი ხედავდა ყოველივეს, მაგრამ არ ამხილებდა მას, უფრო გულმოდგინედ შრომობდა. ალბათ მას ძალიან უჭირს, ფიქრობდა ბერი, თუმცა თვითონაც აღარ ჰყოფნიდა პური და დიდ გაჭირვებას განიცდიდა. სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ბერის სახანის მთელი ძმობა შემოერტყა გარს. მათ შორის იყო ის ბერი, ვინც გამუდმებით პურს იპარავდა. „მომიხსლოდი, მამაო, - უთხრა ბერმა მას და როდესაც ის ახლოს მივიდა, ხელები დაუჭირა და კოცნა დაუწყო. თან ამბობდა: „მე მადლიერი ვარ ამ ხელების, რომელთა შემწეობით ვიმედოვნებ ცათა სასუფეველში შესვლას. ამ სიტყვებმა ბერს გული აუჩუყა, ღრმად სინანულში ჩავარდა და შემდგომში ღირსეული მონაზონი გახდა. ამიტომ წმიდა მამები გვიჩვენებ, მომთმენი ვიყოთ მწუხარების ჟამს. ქრისტიანისთვის უდიდესი შენაძენია, თანაბარი სიმშვიდით მიიღოს ყოველივე, რაც კი უფლისგან ეგზავნება: ტკბილიც და მწარეც, მსუბუქიც და მძიმეც, სიხარულიცა და მწუხარებაც. მათი საშუალებით განისაზღვრება ადამიანის ღმერთთან სიახლოვე და მასში ძირითადი ქრისტიანული სათნოებების - სარწმუნოების, სიმდაბლისა და მორჩილების არსებობა. ნუ დავგავიწყებდები, რომ უფალი ჩვენთანაა, მას ჩვენ ვუყვარავთ, მამო, რისი უნდა გვექმნოდეს?.. ჩვენთან არს ღმერთი...“

კანა ჩიქონანი

მართალთა ღმერთს ურახუნი განცდილი დედამიწის სიძლიერა!

ადგომა ლონდონში

ემიგრანტის დღიურები

ლონდონის ერთ-ერთ უძველეს უბანში „ნაით-ბრიჯზე“ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიაა. ლოცვას დახატრებული ქართველების წმინდა ალაგი, სულთა საოხი სავანე. აქ ყოველ კვირას წირვაზე ერთ ახლად ამოსულ თანამემამულეს მაინც შეხვედები და მაშინვე ამოიკითხავ მის თვალბეზელს დახმარების უსიტყვო თხოვნას. აქვე შეიძლება იპოვო ათასგვარი განცხადება სამუშაოს, ბინის გაქირავების, თუ სხვადასხვა სასიათის მომსახურებაზე. სწორედ ამიტომაცაა, რომ ეკლესიის სასაღმოსაოკო გამოავალი დერეფნის მარცხენა კედელზე გაფაციცებით კითხულობენ ყოველ სიახლეს და პატარა ბლოკნოტებში საგულდაგულოდ იწერენ ხოლმე. აქვე უნდა გავხსენოთ ქართველები ერთმანეთს სხვადასხვა მნიშვნელობის ინფორმაციას და შეიძლება ითქვას, რომ ამ წმინდა ადგილას „პატარა საქართველო“ იკრება და ბჭობს, ექებს, კარნახობს, ეხმარება, გზას უკვლევს საკუთარ სისხლს და ხორცს. ადგომის დღესასწაულის ბრწყინვალეობამ 1000-მდე ქართველი მიიყვანა მლოცველთა სახლში. იყო ლიტანიობის მაღლით ამადლებული გარდავლენა, საოცრებაც; მაგრამ აუცილებლად სათქმელი სირცხვილი, გულჩაწყვეტა და განწყობილებების ოდნავი დაჩრდილვაც, სამწუხაროდ. დიდხანს ვიფიქრე, როგორ ჩამომექნა აზრის სახთელი, მერე სიტყვებს მოშინაურება დაეუწყო; ჩემმა მეგობარმაც შეთავაზებდა შემამატა და როცა ამ ჩანაწერის აუცილებლობაში დამარწმუნა, აღმართს შევუწყვი.

კენელ დრამატულ მომენტამდე, ცოტა ხნით გასულა მოიმიზეზა. მეც ხველებით გავცალე იქაურობას და გარეთ გავვარდი. შებინდებულზე ამ დროს ვარსკვლავებით იჭედება ქართული ცა, აქ კი რუსისფერში გადასულ ლუკუმისფერ ღრუბლებს სამარადჟამოდ დაუშინებიათ ზეციური მანათობლები. თერთმეტის ნახევარზე ემოციურად და მუხტულვებმა „ნაით ბრიჯისაკენ“, ავტობუსით გავწვიეთ. მოგონებები აცამტყერებდნენ აწმყოს, ხოლო ნოსტალგიის შხმას შეფარვით გვასმევდა რეალობის ფიალიდან ხმაურიანი, ცივი, უსიყვარულო დამის ქალაქი. „ალბათ ახლა დედაჩემი კვერცხებს ღებავს“ - ჩაილაპარაკა წიწილამ და უკანა სავარძელში ჩაეშვა, მერე ტელეფონი ამოიღო, ნერვიულად აკრიფა და მშობლებთან მუსაიფი გააბა. არ სურდა საუბრის დამთავრება, მონატრების ათნათი კი გადაკარავდა ძალუმაღ მცინარეს. „რა ქენით ფული ხომ აიღეთ?“ - კმაყოფილებით ეკითხებოდა იქვე მჯდომი ალიკა თავის მეუღლეს და 11 თვის ბავშვის ამბებს აყოლებდა. ბესია შეყვარებულს უხსნიდა, თუ როგორი ლამაზია აქაურობა, მაგრამ მოღუშული, მუშტი და თავბრუდამხვევად სწრფი. ჰპირდებოდა მალე ჩამოყვანა და თხოვდა, რომ გაეძლო, რადგან უზომოდ უყვარდა. პოლიციელებს ჩაეკეტათ მთელი ქუჩა. ეკლესიის შორიხლოს სახთლებზე უშველებელ რიგში ჩავდექით. საყდრის ზღნარბლზე შავებში გამოწყობილი მცველები იდგნენ და ნელ-ნელა ატარებდნენ მრევლს. გვიმ დედამისი მიერ საქართველოდან გამოწვანა ილი მამა დავითის 5 სახთელი მიწილად, თაფლის სამი წმინდა ელვარება თავად შევიძინე და მერე მოხდა ის, რისი გასხენებაც ახლაც მზარავს. სამიოდე ქართველი განმარტოებით იდგა. ერთს მზის სათვალე ეკეთა დამის 11 საათზე, მეორე ტელეფონზე გამალებით, მთელი ხმით რუსულად იგინებოდა, მესამე ისე ხარხარებდა, რომ ამკარად ეტყობოდა თრიაქის კვალს. „არ სცხვენიათ?“ - მხარი გამკრა კობამ. „მე-

ტი გასართობი ადგილი ვერ იპოვეს? კაიფში არიან“. იმ წუთში ყველაზე უძლიერი ერის შვილი მეგონა თავი. რამ დააჯინათ ისე, რომ ადგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე სერი მოაწყვეს, მახვილი ჩასცეს საუკუნეების წარმავლობასთან მებრძოლი, რუდუნება-სისხლით დაცულ ქართული თვითმყოფადობის საძირკველს - სარწმუნოებას? იქაურობას სწრაფად გავგზორდი. საოცარი სიმშვიდე ეპკურა სინათლე მიზინდული ხატების სიწმინდეს. რამდენიმე ნაცნობი კიდევ ვნახეთ, ცენტრში დავდექით და ალაგ-ალაგ ჩურჩულში დატყვევდა ცნობის-მოყვარებობა, თითქოს ქართველები ერთმანეთს ეძებნო თვალბეზით, მერე პოულობენ და ბედნიერი დიმილით აგრძობინებენ სიახლოვეს. დედის ახვრდზე ჩვილი დღაბუცობდა, ნამდვილი ანგულსი - ლუქა. გალობდა დაიწყო თუ არა, მოულოდნელად გაქრა ბავშვის სახიდან, მოღბა, თავი მოიღერა და რამდენიმე წუთში სასწაული ვიხილე. მანდლიანი ქალის მკლავზე უდარდელად მძინარე ლუქა ლოცვათა აღვლენას ბრწყინვალეობას მატებდა. - ქართული საკმეველის სურნელებაც სხვა-ნაირია უფრო - ვუთხარი ზვიადს. - მართალია - გაიმეორა იგივე უცნობმა კაცმა. მერე ყველამ ახლომასლო ვადიარეთ წამის სიდიადე. ხატის შემოსვენებამდე ერთმა ქართველმა ვერ მოითმინა და სახთელი აანთო, მერე სხვებიც აპყვნენ, სტიქაროსანი ამის დანახვაზე მოგვეჭრა და რუსულად გვთხოვა - „ჩაქრეთ სახთლები ხატის შემოსვენებამდეო. დაბნეულობა მაშინ გაქრა, როცა მაცხოვრის წმინდა სასწაული შემოაბრძანეს. „ქრისტე აღსდგა“ - წარმოთქვა მამამო. „ჭეშმარიტად აღსდგა“ - იფეთქა მრევლმა. სახარების კითხვას ისევ ვაისმობდა. „ქრისტე აღსდგა“. ისევ ბუტბუტებდა ძველი რუსულით მღვდელი. „უმეტესობა ქართველები ვართ, ნუთუ ერთხელ არ იტყვიან ქართულად? ნუთუ ერთხელ არ აღმონდებთ ქართულად ანგელოზ-

თა მაცნე „ჭეშმარიტად აღსდგა“ მოძმეებს ალბიონზე? ... თითქოს ჩემი გულისნადები წიკითხთა გეაძამ, გაუბედავად მკითხა, ქართულად არ იტყვიან? იგივე გადაედო ყველა ახლომდგომ თანამემამულეს. მერე როცა იმედგაცრუება გარდაუვალი ჩანდა, მეოთხეტი მოძვარა სასწაული ვგაჩუქა და განუმეორებელ მოგონებად გვისასსოვრა. „ქრისტე აღსდგა! - გაისმა ქართულად... სისხლი გაიყინა, ყრუანტელმა დალაშქრა სხეული, სულმა სთავისუფლე იგრძნო, გული აკანკალდა ნეტარებით. „ჭეშმარიტად აღსდგა“ - იგმინა მშობელი ურობასთან წამით მიასლოებულმა ქართველობამ. ბედნიერების, გამარჯვების დიმილი ენაცვლებოდა სამშობლოს დახარბებულ მოძმეებს. ამოუცნობი, საუცხოო სითბო ჩამოწვა ეკლესიაში. საოცარი სანახავი იყო ერთობის მოხეიძე ქართველობა, ამ ორმა სიტყვამ ფრთები შეგვასხა, ძალა მოგვანიჭა, აზრი გაგვიწმინდა, უნებაროდ გვაზიარებინა შეგება უკვადავებასთან. ისევ ველოდით ცერზე შემდგარი წამის მარადისობას, მაგრამ ამოდერთხელ ნათქვამი ქართული „ქრისტე აღსდგა“, მაშინ უფრო მეტი იყო, ვიდრე მთელი დედამიწის სიმდიდრე ფეხებთან დახვავებულნი... გარეთ უამრავი მლოცველი ელოდებოდა საყდარში შესაღწევ რიგს. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ქართველები, ყველას თავისი წილი სიყვარული ეპოვა. მეგობრებთან ერთად დავტოვე „ნაით ბრიჯი“. სახლში მე და ალიკა დილის ხუთ საათზე დავბრუნდით. მეუღლის დატოვებულ წითელი კვერცხები ერთმანეთს დავუჭახუნეთ, სახთელი ავანთეთ, პასკა დავჭვრიეთ, წითელი დვინი დავლიოცეთ და ძილის მოციქულებს გავყვეით.

კანა კელთაქი

ლონდონი. 2004 წელი.